

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №02

2015 წლის 17 მარტი

ქ. თბილისი

მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 2013 წლის 02 მაისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №102-ის თანახმად დამტკიცებული სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის და ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების თანდართული წესი. (დანართი №1)

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ - საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო ზედამხედველობის
სამსახურის უფროსი

იოსებ გოგოლაშვილი

დანართი N1

მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) მიერ მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების საკითხებს.

2. სამსახური უფლებამოსილია სადაზღვევო ორგანიზაციის და/ან მისი ადმინისტრატორის მიმართ გამოიყენოს ამ წესით დადგენილი ფულადი ჯარიმები, თუ მზღვეველმა და/ან მისმა რომელიმე ადმინისტრატორმა:

ა) დაარღვია კანონმდებლობა, ინსტრუქცია, დებულება, წესი, სამსახურის მოთხოვნები და/ან წერილობითი მითითებები, რაც გათვალისწინებულია ამ წესის მე-2 მუხლით;

ბ) დაარღვია “ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნები.

3. მზღვეველისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე სამსახური გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა სამსახურის უფროსის ბრძანების სახით, რომელშიც მითითებულია მისი აღსრულების წესი.



4. მზღვეველისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ სამსახურის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაშია მისი მზღვეველისათვის გაცნობისთანავე.

5. სამსახური უფლებამოსილია ამ წესის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის აღსრულება უზრუნველყოს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული გასაჩივრების ვადის უშუალოდ გასვლის შემდგომ.

6. მზღვეველისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული ფულადი ჯარიმის იძულებით აღსასრულებლად მიქცევა ხდება კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით

7. ამ წესის შესაბამისად მზღვეველის მიერ გადახდილი ფულადი ჯარიმის თანხა მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №48 - ვებგვერდი, 30.12.2020წ.

მუხლი 2. მზღვეველისათვის დასაკისრებელი ფულადი ჯარიმის ოდენობა

1. მზღვეველის მიერ სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობისა და/ან სამსახური მიერ განსაზღვრული მინიმალური კაპიტალის ფულადი ნაწილის არსებობისა და/ან განთავსების მოთხოვნის დარღვევის გამოვლენისას, მზღვეველი ჯარიმდება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

2. ყოველწლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მოუმზადებლობისა და/ან სამსახური დადგენილ ვადაში და დადგენილი ფორმით წარუდგენლობის შემთხვევაში მზღვეველი ჯარიმდება 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

3. სამსახურის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ანგარიშგებ(ებ)ის ან/და სხვა ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის დადგენილი წესით და/ან დადგენილ ვადებში სამსახურში წარუდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი ჯარიმდება დარღვევის თითოეულ ფაქტზე – 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

4. სამსახურის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ანგარიშგებ(ებ)ის ფორმაში არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში მზღვეველი ჯარიმდება დარღვევის თითოეულ ფაქტზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

5. მზღვეველის ადგილზე შემოწმების პროცესში სამსახურისათვის არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, როდესაც ცდომილების ოდენობა აღემატება ამ მზღვეველის ადგილზე შემოწმების თაობაზე სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ არსებითობის ზღვარს, ან/და შემოწმების ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი ჯარიმდება დარღვევის თითოეულ ფაქტზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

6. სამსახურში წარმოდგენილ ანგარიშგების ფორმებთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის და/ან დაზუსტებული ანგარიშგების მითითებულ ვადაში წარუდგენლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

7. მზღვეველის მიერ სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივების სადაზღვევო რეზერვებთან ზღვრული თანაფარდობის მოთხოვნების დარღვევისას მზღვეველი ჯარიმდება თითოეული ასეთი დარღვევის ფაქტისათვის 5 000 (ხუთი ათასი) ლარით ან ლიკვიდური აქტივების დანაკლისის ოდენობის 2%-ით, იმის გათვალისწინებით, რომელი ოდენობაც უდიდესია.

7¹. სადაზღვევო საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე, მზღვეველის მიერ ერთ რისკთან მიმართებაში აღებული ნეტო ვალდებულების მაქსიმალურ ოდენობასა და მის მიერ უკანასკნელი თარიღით



გაანგარიშებული და სამსახურისთვის შესაბამისი საანგარიშო თარიღისთვის წარდგენილი საზედამხედველო კაპიტალის ოდენობას შორის კანონმდებლობით დაწესებული თანაფარდობის დარღვევისას, მზღვეველი დაჯარიმდება დარღვეული პარამეტრის ოდენობის 2% - ით, მინიმუმ 2000 (ორი ათასი) ლარის და მაქსიმუმ 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. მზღვეველისათვის ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში დაწესებული შეზღუდვების დარღვევისას, მზღვეველი ჯარიმდება, დარღვევის დღისათვის თითოეული დარღვეული პარამეტრის ოდენობის 5%-ით, მინიმუმ 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

9. მზღვეველისათვის ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში დაწესებული შეზღუდვების დარღვევისას, ამ სახეობაში ახალი ვალდებულების აღების შემთხვევაში, მზღვეველი ჯარიმდება (ბრუტო) საგარანტიო/სადაზღვევო თანხის 5%-ის, მინიმუმ 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

10. მზღვეველის საქმიანობის აღრიცხვის წესით გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის ან მასში შემავალი კომპონენტების (წესის დანართების შესაბამისად) და ანალიზური სისტემის არარსებობის შემთხვევაში მზღვეველი ჯარიმდება დარღვევის თითოეულ ფაქტზე 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

11. კანონმდებლობით, სამსახურის წესებით, ინსტრუქციებით, დებულებებით, დადგენილებებით, წერილობითი მითითებებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ან/და სამსახურის მიერ კომპეტენციის ფარგლებში მოთხოვნილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის თითოეულ შემთხვევაზე, მზღვეველი ჯარიმდება 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

12. სამსახურში, გარდა ამ წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, სხვა არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში მზღვეველი ჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მაისის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 06.05.2016წ.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 თებერვლის ბრძანება №32 - ვებგვერდი, 11.02.2019წ.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 30 ივნისის ბრძანება №53 - ვებგვერდი, 01.07.2021წ.

მუხლი 3. მზღვეველისთვის/ადმინისტრატორისთვის დასაკისრებელი ფულადი ჯარიმის ოდენობა „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, მის შესაბამისად ფინანსური მონიტორინგის სამსახურის/სამსახურის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და წერილობითი მითითებებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის

„ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, მის შესაბამისად ფინანსური მონიტორინგის სამსახურის/სამსახურის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და წერილობითი მითითებებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველი და/ან მისი ადმინისტრატორი ჯარიმდება შემდეგი ოდენობით:

ა) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობის შემთხვევაში - 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) საექვო ან/და უჩვეულო გარიგებასთან (ოპერაციასთან) დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიებების არასათანადოდ განხორციელების/ განუხორციელებლობის შემთხვევაში – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;



გ) ბენეფიციარი მესაკუთრის ან/და მფლობელობის და კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის გარეშე ან/და კანონმდებლობით დადგენილი იდენტიფიკაციის ან/და ვერიფიკაციის წესის დაუცველად კლიენტთან (ასევე მისი სახელით მოქმედ პირთან) საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემთხვევაში – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ კლიენტთან მიმართებაში;

დ) სიცოცხლის დაზღვევის (საინვესტიციო ხასიათის) მოსარგებლის/სავარაუდო მოსარგებლეთა წრის (მათ შორის, მისი ბენეფიციარი მესაკუთრის) მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების არასათანადოდ განხორციელების შემთხვევაში – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ პირთან მიმართებაში;

ე) მაღალი რისკის დონის მქონე კლიენტის მიმართ, კანონმდებლობით გათვალისწინებული გამძლიერებული პრევენციული ღონისძიებების არასათანადოდ განხორციელების შემთხვევაში – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ კლიენტთან მიმართებაში;

ვ) პოლიტიკურად აქტიურ პირთან დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ პირთან მიმართებაში;

ზ) გარიგების (ოპერაციის) აღსრულების შეჩერების თაობაზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითების შეუსრულებლობისთვის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

თ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლო ბრძანების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში – 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ი) კლიენტს არ აქვს მინიჭებული რისკის დონე – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ კლიენტთან მიმართებაში;

კ) საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, დარღვევის თითოეულ ფაქტზე:

კ. ა) 5 სამუშაო დღემდე დაგვიანებისათვის – 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

კ. ბ) 5 სამუშაო და მეტი დღით დაგვიანებისთვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

ლ) საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარუდგენლობის გამოვლენის ან არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

მ) მზღვეველის ადგილზე შემოწმების პროცესში მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სამსახურისათვის დადგენილი წესით და/ან დადგენილ ვადაში წარუდგენლობის ან არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე; იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ნ) სამსახურის მიერ შემოწმების შედეგად გაცემული წერილობითი მითითების არაჯეროვანი შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;

ო) ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვისა და/ან შენახვისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

პ) შესაბამისობის კონტროლის სისტემის არ ქონის – შიდა კონტროლის არასათანადოდ



განხორციელების/განუხორციელებლობის, ან/და შესაბამისი პროცედურებისა და წესების მიღების ან/და დაცვის ვალდებულების სისტემატური დარღვევის შემთხვევაში - 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

ჟ) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა აღრიცხვისა და დამუშავების სათანადო ელექტრონული სისტემის არქონის შემთხვევაში - 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 16 ივნისის ბრძანება №19 - ვებგვერდი, 19.06.2017წ.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 14 ივლისის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 17.07.2017წ.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №48 - ვებგვერდი, 30.12.2020წ.

მუხლი 3¹. მზღვეველისათვის დასაკისრებელი ფულადი ჯარიმის ოდენობა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის “მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” №18 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციით“ დადგენილი სპეციალური მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის

მზღვეველი ინსტრუქციით დადგენილი ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ჯარიმდება შემდეგი ოდენობით:

ა) სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპისათვის დადგენილი თითოეული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

ბ) დაზღვევის ხელშეკრულების დადების ეტაპისათვის, დადგენილი თითოეული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში - 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

გ) ინსტრუქციით გათვალისწინებული მომხმარებლის განცხადების/გამოხატული უკმაყოფილების პრეტენზიად კვალიფიცირების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

დ) პრეტენზიის შესწავლის შედეგების შესახებ მომხმარებლისათვის ინსტრუქციით დადგენილი პასუხის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

ე) სამსახურში მომხმარებელთა პრეტენზიების შესახებ ყოველთვიური ანგარიშების ფორმაში პრეტენზიის მიუთითებლობის შემთხვევაში - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე. ამასთან, ამ ნორმის მიზნებისთვის მიუთითებლობად არ ჩაითვლება უკმაყოფილებისათვის პრეტენზიად კვალიფიცირების ვალდებულების დარღვევა.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 თებერვლის ბრძანება №32 - ვებგვერდი, 11.02.2019წ.

მუხლი 4. ფულადი ჯარიმისაგან გათავისუფლება

1. სამსახური უფლებამოსილია გაათავისუფლოს მზღვეველი უკვე დაკისრებული ჯარიმისაგან ან არ დააკისროს ფულადი ჯარიმა იმ შემთხვევაში თუ:

ა) მზღვეველის მიმართ მოქმედებს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი;

ბ) მზღვეველს გაუუქმდა სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია.

2. განსაკუთრებულ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მზღვეველი გაათავისუფლოს ფულადი ჯარიმის დაკისრებისაგან, თუ:

ა) შესაძლებელია მზღვეველის ფინანსური მდგომარეობა ისე გაუარესდეს, რომ საფრთხე შეექმნას მის მომავალ ფუნქციონირებასა და გადახდისუნარიანობას;



ბ) შესაძლებელია მზღვეველი გახდეს გადახდისუუნარო;

3. სამსახური აგრეთვე უფლებამოსილია მზღვეველი გაათავისუფლოს ფულადი ჯარიმის დაკისრებისაგან, თუ:

ა) მზღვეველის ადგილზე შემოწმების შედეგად სამსახურის შემოწმების აქტით განისაზღვრა სტატისტიკური და ფინანსური ანგარიშგების ფორმებში შესატანი ცვლილებები, რომლებიც მოიცავს შემოწმების შემდგომ პერიოდს და მზღვეველს წარდგენილი აქვს სამსახურისათვის;

ბ) მზღვეველის მიერ წარმოდგენილი წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე დასაზუსტებელია ყოველწლიური ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების წარდგენის შემდგომ სამსახურში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმები.

4. ფულადი ჯარიმის დაკისრებისაგან და დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადახდისაგან მზღვეველის გათავისუფლების შესახებ სამსახური გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა სამსახურის უფროსის ბრძანების სახით.

